ევროკავშირი საქართველოსთვის

EU4Environment
Green Economy in Eastern Partner Countries

# მდგრადი საჯარო შესყიდვების შესაძლებლობები საქართველოში

## დასუფთავების საშუალებები და მომსახურება

**საქართველო 2019 წლიდან ნერგავს მდგრად საჯარო შესყიდვებს.** დასუფთავების საშუალებები (ყველანაირი დანიშნულების საწმენდი საშუალებები, სადეზინფექციო საშუალებები, ხელის საპნები და ა.შ.), საწმენდი აქსესუარები (ტილოები, იატაკის საწმენდი ჯოხის თავები, ქაღალდის ხელსახოცები და ა.შ.) და დასასუფთავებელი მოწყობილობები (მაგ.: მტვერსასრუტი), მიეკუთვნება **იმ პროდუქტების ჯგუფს, რომელიც პრიორიტეტს წარმოადგენს მდგრადი საჯარო შესყიდვებისათვის**.[1]










საჯარო შესყიდვები მთავარ როლს ასრულებს საქართველოს ეკონომიკაში. 2020 წელს საჯარო შესყიდვებმა საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) **12%** შეადგინა.[2]

## რა გავლენას ახდენს გარემოზე საწმენდი საშულებებების წარმოება, გამოყენება და განადგურება[3] ?



სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა



სათბური გაზების გამოყოფა

ენერგიისა და წყლის მოხმარება





მყარი და თხევადი ნარჩენების წარმოქმნა

წყლის დაბინძურება



## რა შესაძლო გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური სარგებელი შეიძლება მოიტანოს დასუფთავების მდგრადი საშუალებების და მომსახურების შეძენამ[4] ?

1 **გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი და სოციალური მაჩვენებლები**, სამართლიანი სამუშაო პირობების უზრუნველყოფით, დაეხმარება საქართველოს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლაში.

2 **შემცირდება** ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიში ნივთიერებების (მაგ. გამხსნელების) **მავნე ზემოქმედების რისკი**.

3 **შემცირდება** დასუფთავების საშუალებების წარმოებისა და გამოყენების დროს **დაბინძურებული წყლის რაოდენობა**.

4 **ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება**. მაგ.: ენერგოეფექტური დასუფთავების მოწყობილობების გამოყენებისას, როგორიც არის მტვერსასრუტი.

5 **ბუნებრივი რესურსების დაცვა**. ბიოდეგრადირებადი ან გამხსნელების არშემცველი პროდუქტების გამოყენების შედეგად.

6 **შემცირდება მყარი ნარჩენების რაოდენობა და განადგურების ხარჯები**. მაგ.: შევამციროთ პროდუქციის ერთჯერადი მყარი კონტეინერებით გაყიდვა და სამაგიეროდ მეტად ხელმისაწვდომი გავხადოთ მარაგები იაფი შეფუთვით, რომლითაც კონტეინერებს შევავსებთ ხოლმე.

[1] **Enhancing Public Procurement for the regional transition to inclusive green economy** in Eastern Europe, Caucasus and Central Asia. UNDA, 2019.

[2] **Enhancing Public Procurement for the regional transition to inclusive green economy** in Eastern Europe, Caucasus and Central Asia. UNDA, 2019.

[3, 4] **EU GPP criteria for indoor cleaning services.** European Comission, 2018.

www.eu4environment.org

©2023 UNEP. ყველა უფლება დაცულია. ლიცენზირებულია ევროკავშირისათვის.

Design: Zoï Environment Network

Action implemented by:

OECD BETTER POLICIES FOR BETTER LIVES | UNECE | UN environment programme | UNIDO | THE WORLD BANK IBRD • IDA | WORLD BANK GROUP